საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამა

კამა

კამა (Anethum), მცენარის გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. ერთწლოვანი, იშვიათად ორწლოვანია. ღრმად დანაკვთული ფოთლები აქვს. ხმელთაშუა ზღვის აღ-მით გვხვდება 3 სახეობა. უფრო გავრცელებულია A. გრავეოლენს, ერთ-წლოვანი მცენარე. კ-ს მკვეთრი სურნელი აქვს, ყვავილედი რთული ქოლგაა, კულტივირებულია, ხშირად ველურდება და ამ სახით საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იყენებენ კერძებში, როგორც საკაზმ-სანელებელს და ეთერზეთოვან მცენარეს, აგრეთვე მწნილეულის დასამზადებლად. კ. შეიცავს A პროვიტამინს, B ჯგუფის ვიტამინებს, C ვიტამინს და სხვ.